ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2281 პარასკევი, 3 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2281

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11 -1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ავლაბრის ახალი თეატრი

შაბათს, 4 სექტემბერს, 1903 წელს **ავლაბრის ახალ თეატრში**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პატარა კახი

ისტ. დრამა 5 მოქმ. აკაკისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ყიფიანი, ნებიერიძე, ა. რონელი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე,ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

დასაწყისი 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მზადდება წარმოსადგენად „ორი ობოლი“. რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 3 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება

კარმენ

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ბიზესი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: კარტავინა, ლელინა, კარრი; ბ-ნნი: დარსკი, ილიუშჩენკო, ამირჯანი, ფედოროვი, გავრილოვი, გრინოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 4 ოქტომ. ფიგნერის მონაწ.—„ფაუსტი“, გუნოსი; 5 ოქტომბ.—„ჟიზნ ზა ცარია“—გლინკასი; 6 ოქტ. იაფ-ფასიანი წარმოდგენა „რუსალკა“, დარგომიჟსკისა. (ნ.)

ექიმი

ი. დ. ბექთაბეგოვი

დაბრუნდა. (1—160—1)

დამყნილი სანერგე

ამერიკული ვაზისა

ამით ვაცხადებ, რომ მსურველთ შეუძლიანთ დაიკვეთონ ამ თავითვე ნამყენები და აგრეთვე მიიღონ დაბეჭდილი ცნობები სანერგის შესახებ.

ადრესი: Квирилы, Георгію Михайловичу Чивадзе (10—1718—3)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე-

იაფ-ფასიანი

ქართული სამკითხველოები

„ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისა“

პირველი—იმერლების თავად-აზნაურობის ქარვასლაში № 98

მეორე—ვერაზედ ოლგას ქუჩაზედ, № 32

სამკითხველო ღია არის ყოველ დღე დილით 10—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. კვირა-უქმე დღით მხოლოდ 11—1 საათამდე. სამკითხველოში მოიპოვება გარდა ყველა ქართულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, ახალი რუსული ჟურნალები. (ე. 3—1)

საზღვარ-გარედ

იაპონია. შორეულ აღმოსავლეთში ლამის ზარბაზანმა დაიქუხოს, ჩრდილოეთის დევი რუსეთი და აღმოსავლეთის ამომავალი ვარსკვლავი იაპონია, ლამის ერთმანერთს დაეძგერნენ. კორეისა და მანჯურიის თაობაზე დიდი მტრობა ჩამოუვარდათ ამ ორ მძლავრ სახელმწიფოს. იაპონია მანჯურიიდანაც გასტუმრებას უპირობდა რუსეთს, რუსეთმა-კი, ალბად, ჩვენებურ ანდაზის ძალით—წყალ-გაღმა წაედავე, წყალ-გამოღმა მაინც დაგრჩებაო,—კორეისაც ხელი წაატანა, იქაც ადგილების დაჭერა მოინდომა. აქ-კი იაპონია მოთმინებიდან გამოვიდა და დაჭრილ ლომივით გრგვინვა დაიწყო: კორეას ხელი არავინ ახლოსო. მარტო მუქარას როდი დასჯერდა და ომის თადარიგსაც შეუდგა. რუსულ გაზ. „ნოვი კრაი“-ს (პორტ-არტურში გამოდის) იაპონელი კორესპონდენტი მეტად საყურადღებო ცნობებს იწერება ამ საქმეზე:

„ამ ჟამად, ვინც-კი იაპონიის შინაგან და პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგადაა ჩახედული, აშკარად ჰხედავს, რომ იაპონია ბეჯითად ემზადება რუსეთთან საომრად. თუმცა იაპონიის პრესსა ამ საქმის თაობაზე ორ ბანაკად გაიყო, ზოგი ომსა თხოულობს, ზოგი—წინააღმდეგია, მაგრამ ამ მეორე ბანაკს, ესე იგი მშვიდობიანობისა და მორიგების მომხრეთ, სათქმელი მნიშვნელობა არა აქვსრა, მით უმეტეს არა აქვს, რომ თავის აზრს მეტად ხშირად იცვლის ხოლმე. ომის მომხრე პარტია-კი დღე და დღე ძლიერდება და მატულობს. ამ პარტიის მეთაურები არიან: სამხედრო მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ბარონი ტერაუჩი დ გარეშე საქმეთა მინისტრი ბარონი კომურა. ომის წინააღმდეგ პარტიას—მარკიზი იტო, ვიკონტი ტანი, გენერალი იშიმიტო და სხვ. მეთაურობენ. ამ ჟამად პირველი პარტია გაცილებითა სჭარბობს და სძლევს მეორეს. ამბობენ, მინისტრებმა ტერაუჩიმა და კომურამ მინისტრების საბჭოს ომის პლანი წარუდგინესო; ამ პლანით უსათუოდ ვაჯობებთ რუსეთსაო,—ეთქვათ მინისტრებს. ამბობენ, ამათის ბეჯითის მოთხოვნილებით წარსულ აგვისტოს 25-ს (ახალის სტილით) რუსეთის მთავრობას პეტერბურგში პროტესტი გაუგზავნა იაპონიამ: მანჯურიიდან ჯარი უნდა გაიყვანოთ და კორეიასაც თავი დაანებოთო. რუსეთის ელჩი ქალაქ ტოკიოში, ბარონი როზენი, ამ საქმის თაობაზე გარეშე საქმეთა სამინისტროში მივიდა და თავის მთავრობის სახელით გამოაცხადა, რუსეთი საბოლოო პასუხს ვერ მოგცემთ, ვიდრე ამ საქმეს ყოველმხრივ არ განიხილავსო. ამას გარდა, ელჩმა ზოგიერთის რისამე განმარტებაც მოითხოვა. იაპონიის მთავრობამ ელჩს საჭირო განმარტება მისცა და ამასთანავე მოითხოვა, საბოლოო, გადაჭრილი პასუხი სამის კვირის განმავლობაში მოგვცეს რუსეთმაო. ამ პასუხის შემდეგ ჩვენც სასტიკ ღონისძიებას მივიღებთო.

ეს ოფიციალური ცნობაა. ნამდვილად კი იაპონიის მთავრობამ, მარკიზ იტოს ბეჯითი მოთხოვნილებით, გადასწყვიტა, მომავალ 18 ოქტომბრამდე, ესე იგი, ვიდრე რუსეთს მანჯურიიდინ ჯარის გაყვანის უკანასკნელი ვადა არ მოუვა, მოვიცადოთო. მინამდე ომისათვის მოვემზადნეთ და ყველაფრის თადარიგი დავიჭიროთო. მთავრობამ, სხვათა შორის, განკარგულება მოახდინა, სათადარიგო ჯარისა და დროებით დათხოვნილი ოფიცრები ყველანი თავ-თავიანთ პოლკებში დაბრუნდნენო. ამას გარდა, იმისმა უდიდებულესობამ მიკადომ (იაპონიის იმპერატორმა) თავისი ადიუტანტი მაიორი იტო ჩრდილოეთ ჩინეთში გაჰგზავნა და დაავალა, ჩინეთის სხვა-და-სხვა ადგილებში მყოფი იაპონიის მეციხოვნე ჯარები დაათვალიერეო. ნამდვილად კი იტოს სულ სხვა საქმე აქვს მინდობილი,—მიკადოს ადიუტანტმა უნდა გამოიკვლიოს, თუ ვინიცობაა იაპონიას რუსეთთან ომი მოუხდა მანჯურიის გულისათვის, ჩინეთი დახმარებას გაუწევს იაპონიას თუ არაო. იტომ უნდა გააგებინოს ჩინეთის მთავრობას: თუ იაპონია გაიმარჯვებს, მანჯურია ისევ ჩინეთის ბოღდიხანს დაუბრუნდება; იაპონია მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ მანჯურიაში იაპონელებს დასახლების უფლება მიეცეთ და იქაურ ნავთ-სადგურებში უცხოეთის ყველა სახელმწიფოს ვაჭრობის ნება ჰქონდეს“.

◆ იგივე „ნოვ. კრაი“ იუწყება: „იაპონიის პრესა მეტად გაგულისებულია რუსეთის ელჩ პავლოვზე,—კორეიაშია ელჩად. იაპონური გაზეთები ათასნაირ სახელს არქმევენ პავლოვს. სხვათა შორის, მეტად ხშირად „გაიძვერა პავლოვად“ იხსენიებენ. იაპონელებს მეტად სწყინთ, რომ პავლოვი ყოჩაღად იქცევა და რუსეთის ინტერესებს მხნედ იცავსო“.

◆ იაპონიას კორეიაზედაც ჯავრი მოსდის, რუსეთს რად ემორჩილება და ადგილებს რად უთმობსო. უცხოეთის პრესასაც სწორედ ეს უნდა. უცხოეთის გაზეთები, მეტადრე ინგლისური, რაც კი შეუძლიანთ, იაპონიას უფრო აგულისებენ.

ინგლისური გაზეთი „იაპან უიკლი ტაიმს“-ი—იაპონიაში,იოკაჰამაში გამოდის—სწერს: „კორეიამ თავის ქცევით სწორედ მოთმინებიდან გამოიყვანა იაპონია. დარწმუნებულნი ვართ, რომ იაპონია მალე იძულებული იქნება, სასტიკად მოექცეს ამ უმწეო და არა საიმედო იმპერიას (კორეიას)“.

იაპონური პრესაც მოურიდებლივ ჰგმობს და ჰკიცხავს კორეის ქცევას. გაზეთი „კოკუშინ შიმბუნ“-ი სწერს: „კორეია სწორედ ჩალის ქოხსა ჰგავს. ამ ჩალის ქოხში ანთებული სანთლები შეაქვთ; ყოველს წამს მოსალოდნელია, რომ ქოხს ცეცხლის ალმა დაურბინოს და ეს ალი სხვა, მეზობლად აგებულ, შენობებსაც მოედოს. ორში ერთი უნდა ავირჩიოთ: ან ქოხს ჩალა უნდა მოვხადოთ, ან ქოხიდან საშიში, საეჭვო ხალხი უნდა გავრეკოთ“.

ხსენებული ინგლისური გაზ. „იაპან უიკლი ტაიმს“-ი ცეცხლზე ნავთს ასხამს და უფრო გულს უშხამავს იაპონელებს. გაზეთი სწერს: „კორეია 1881 წელს აქეთ სრულებით არაფერში არ გამოცვლილა; თავის თავის დაცვა ეხლაც არ შეუძლიან. კორეის მმართველები თავიანთ საკუთარ ინტერესებს დღესაც მაღლა აყენებენ სახელმწიფო ინტერესებზე. ოღონდ თავიანთ გულის საწადელი კი აისრულონ და კორეია გინდ სულაც დაღუპულა. სხვა სახელმწიფოების გარევა კორეის საქმეში აქაურ მმართველებს კანონიერ საქმედ მიაჩნიათ.

იაპონიამ აქამდე დიდი სულგრძელობა და მოთმინება გამოიჩინა. ეხლა კი რამე უნდა უშველოს საქმეს და კორეის ქცევას ყურადღება მიაქციოს. კორეის მთავრობას თავის დამოუკიდებლობის დაცვის შნო სრულებით არა აქვს, ვინც ძალას გამოიჩენს, კორეის მთავრობაც იმის სურვილს ასრულებს და იმის ნებაზე დადის. რუსეთმა მოსთხოვა და კორეიამაც იონგ-ამ-პოში ადგილი დაუთმო რუსეთს. რუსეთმა სწორედ სასაცილოდ აიგდო იაპონია. მანჯურიაშიც რუსეთმა მეტის-მეტად გაათახსირა იაპონიის ინტერესები. ეხლა მანჯურიასაც აღარა სჯერდება და კორეის დაჭერასაც აპირობს. ეხლა კი გვგონია, დროა, იაპონიამ თავის სულგრძელობასა და მოთმინებაზე ხელი აიღოს. იაპონიამ ისე მაგრა უნდა მოიკიდოს ფეხი კორეიაში, რომ ვერც ერთმა სხვა სახელმწიფომ ხმის გაცემა ვეღარ გაუბედოს“.

სწორედ ცეცხლსა და წყალს შუაა ჩავარდნილი საწყალი კორეია: მოუვათ ომი რუსეთსა და იაპონიას თუ არა, ეს დღესაც ძნელი სათქმელია; ძნელი გამოსაცნობია აგრეთვე, ამათში რომელი გაიმარჯვებს, მაგრამ ის კი ცხადია, ჩვენის აზრით, რომ ამ ორ მძლავრ აქლემ შუა კორეია საცოდავ კოზაკივით გაიჭყლიტება.

ინგლისი. ინგლისის პრესა, მიმართულების განურჩევლად, ცუდად იხსენიებს ბალფურის ახალ მინისტრებს.

ლიბერალური გაზ. „დეილი ნიუს“-ი სწერს: „ეხლა ბალფურმა თავისი სულიც-კი ჩემბერლენს მიჰყიდა. ასე რომ არ იყოს, ოსცენ ჩემბერლენს სამინისტროში დასტოვებდა, განა? ვინ არ იცის რომ ოსტენ ჩემბერლენი ყველაფერში და ყოველთვის თავის მამას ეთანხმებოდა? ორი ლიბერალ-უნიონისტი, არნოლდ ფორსტერი და ლიტლტონი რისთვის-ღა შეიყვანა სამინისტროში? ყველამ ვიცით, რომ ესენიც ჩემბერლენს ეთანხმებიან ყველაფერში. ახალი კაბინეტი—ჩემბერლენის გემია, მინისტრები კიდევ ჩემბერლენის მეზღვაურები არიან. ბალფური მხოლოდ იმ დრომდე დარჩება ამ გემის მმართველად, სანამ ჩემბერლენი თითონ არ მოინდომებს გემის მართვას“.

მთავრობის მომხრე „სტანდარდ“-ი სწერს: „დევონშირის ჰერცოგის სამსახურიდან გადადგომამ მეორედ შეარყია სამინისტრო. უნიონისტების პარტია დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ახალ მინისტრების სია ვერავის ვერ მოიყვანს აღტაცებაში. ყველა, ყველა და ლიტლტონის მინისტრად დანიშვნა კი სწორედ საოცარი საქმეა. ჩემბერლენის მაგიერ ლიტლტონი დანიშნეს,—ეს მეტის-მეტად დიდი დაცინვაა! ნუ თუ ბალფური ეპჰედავს და ამნაირ სამინისტროს პარლამენტს წარუდგენს?“

ახალი ამბავი

◆ **სვეტიცხოვლობას მცხეთაში** მეტად ბევრი ხალხი მიაწყდა. კარგის ამინდის გამო როგორც ტფილისიდან, ისე სხვა ადგილებიდან ბევრნი გაეშურნენ მცხეთაში. სამწუხაროდ, საღამოთი, უკან დაბრუნებისას, ვაგონების სიმცირის გამო დიდი სივიწროვე და ჭყლეტა იყო. ბევრნი ვაგონების თავებზე ავიდნენ. როდესაც შვიდ საათზე მატა-

რებელი დაიძრა, ერთი კაცი გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა.

◆ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ცნობებით, გორის მაზრაში, თავ. ვ. გ. მაჩაბლის ვენახებს, სოფ. თამარაშენს, **ფილოქსერა გაჩენია.** ეს სენი ცხინვალის ხეობის ზოგიერთ სოფლის ვენახებსაც მოსდებია. საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა, ზომები მიიღოს, რომ თამარაშენიდან ფილოქსერა სხვაგანაც არ გავრცელდეს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს, **მოაწყოს სამგზავრო წიგნთ-საცავები.** ასეთი წიგნთ-საცავი მოთავსებული იქმნება ვაგონში. წიგნები მიეცემათ სადგურებისა და სხვა მოსამსახურეთ სამ თვეში 20—30 კაპეიკად. ამ ვაგონმა საქონლის მატარებელთან ერთად ერთის კვირის განმავლობაში ამიერ-კავკასიის გზა და იმისი შტოები უნდა მოიაროს.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქალაქის საფინანსო კომისიამ დაამთავრა შემუშავება **საპენსიო კასის** წესდების პროექტისა. ვიდრე წესდებას საბჭო დაამტკიცებდეს, სულით ავადმყოფთა თავშესაფარის გამგე გედევანიშვილმა მოაგონა გამგეობას, რამდენ შრომას ეწევიან თავშესაფარის მოსამსახურე პირნი და სთხოვა, ამ დაწესებულების მოხელენიც შეიტანოს იმ მოხელეთა სიაში, რომელთაც პენსია უნდა დაენიშნოს.

◆ გუშინ, 2 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობამ მიიღო ტფილისის საგუბერნიო საამშენებლო განყოფილებისაგან შინაგან საქმეთა სამინისტროს სატეხნიკო კომისიის მიერ განხილული და დამტკიცებული პროექტი ქალაქის ქუჩებისა და მოედნების **ელექტრონით განათებისა.** საგუბერნიო გამგეობამ გამოუგზავნა აგრეთვე წერილი, სატეხნიკო კომისიისაგან მიღებული. წერილი შეეხება იმას, თუ სად და როგორ უნდა მოეწყოს უმთავრესი საელექტრონო სადგური.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრი ნ. ა. **სულთან-კრიმ-გირეი** ამ თანამდებობას თავს ანებებს. ბ-ნმა სულთან-კრიმ-გირეიმ ამის შესახებ განცხადება უკვე შეიტანა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.

◆ ქალაქ ტფილისს ამ ჟამად 18 **პირველ დაწყებითი სასწავლებელი** აქვს, სადაც სულ 2246 ბავშვი სწავლობს. აქედან 863 რუსია, 730—სომეხი, 584—ქართველი და 69 სხვა ეროვნებისა.

◆ 21 ნოემბერს პეტერბურგში მოხდება **რკინის გზების იურისკონსულტთა** პირველი კრება. ამიერ-კავკასიის რკინის გზა ამ კრებაზე ჰგზავნის ბ-ნ ა. მ. ჰყონიას.

◆ **ბათუმში სახლის პატრონნი** აარსებენ ცეცხლისაგან ურთ-ერთ დამზღვევ საზოგადოებას. ამ საქმის გამო 28 სექტემბერს სახლის პატრონთა კრება მოხდა.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ **ყრუ-მუნჯთა სკოლასთან** დააარსეს თავშესაფარი. კვირას, 5 ოქტომბერს, აკურთხებენ ამ თავშესაფარს. სკოლა და თავშესაფარი მოთავსებულია რიყის ქუჩაზე, გაბაშვილის სახლი, № 6.

◆ საფილოქსერო კომიტეტის წინაშე უფროსმა აგრონომმა სტაროსელსკიმ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გადაიდოს საჭირო ფული თელავის მაზრის **სოფელ კონდოლის სანერგეს** გასაფართოებლად და წყლისაგან ჩამონგრეულ კედლის შესაკეთებლად. კომიტეტმა შეიწყნარა ეს შუამდგომლობა.

◆ ბლაღ. მღვდ. დ. ჩხაიძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „გულითად მადლობას ვუცხადებ მეცა და ქვემო აკეთის მრევლიც ძანსულის სპილენძის ქარხნისა და გრ. ვარანცოვ-დაშკოვის მამულის იმ მოსამსახურეთ, რომელთაც კეთილ ინებეს, შემწეობა აღმოგვიჩინეს და ფული მოაგროვეს სოფ. ქვემო აკეთში განზრახულ საქალ-ვაჟო სკოლისა და საეკკლესიო წიგნთ-საცავის დასაარსებლად. შეჰკრებეს სულ 112 მანეთი. ამასთან გაახლებთ სიასაც“.*)

◆ ნოვოროსისკის ქალაქის მოურავმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს ცნობები იმ შუამდგომლობათა გამო, რომელიც გამგეობამ აღძრა ტფილისში შემოტანილ და გატანილ საქონელზე ესრედ წოდებულ საფუთო გადასახადის დაწესების შესახებ.

◆ შაბათს, 11 ოქტომბერს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება მოხდება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ყაზბეგის“ ქალთა სკოლის გამგეობამ მიიღო თიონეთის სკოლის მასწავლებელ გერასიმე იმნაიშვილისაგან 25 მ. 90 კ., რომელიც მან შეკრიბა თიონეთსა და ახმეტაში ყაზბეგის სკოლის სასარგებლოდ. გამგეობა გულითად მადლობას უცხადებს როგორც თვით ბატონ გერ. იმნაიშვილს, ისეც შემდეგ პირთ, რომელთაც შემოსწირეს: ექიმ ლ. ჯავახიშვილმა 5 მ.; თ. ვახ. ბარათაშვილმა 2 მ., თ. ყარალოვმა, ნ. ფურცელაძემ, ი. ოზიეროვმა, ს. აფშინაშვილმა, ალ. გოჯიაშვილმა, ალ. მათურელმა, დ. როსტომოვმა, შაქრო სარქისოვმა, მღ. გრ. წიკლაურმა, გიორ. ნამორაძემ, კნ. ნინო ჩოლაყაშვილისამ, ალ. ანტონის ძე ჩიქოვანმა, ს. თურქისტანაშვილმა, ალ. როსტაშვილმა და ბ-ნმა ყორღანოვმა თითო მანათი; გიორგი გოჯიაშვილმა, ი. ბორიშვილმა, ივრის პირელმა, გორელმა, ანტ. ზ. კიკიანმა, თელაველმა და №-მა ათ-ათი შაური და ბ-ნმა მჭედლიძემ 40 კაპ. სულ 25 მ. 90 კ.

◆ დღეს, 3 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექნება ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიას 1904 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვის განსახილველად.

◆ 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე ტფილისის სააუქციონო ზალას სხვა და სხვა ნივთების გასყიდვით შემოსვლია 29,373 მან. 37 კაპ.

რუსეთის ქრონიკა

◆ „რუსსკ. ვედომ.“-ს საინტერესო ცნობები მოჰყავს საფაბრიკო ინსპექციის 1901 წლის ანგარიშიდან. ინსპექტორისათვის სამრეწველო დაწესებულებათა გამგეთ მიუმართავთ 29,918 მუშის მოთხოვნილების თაობაზე. მოთხოვნილება მეტ შემთხვევაში შეეხებოდა დაქირავების პირობების შეცვლას. მუშების მხრივ-კი 22,654 კაცს მიუმართავს ინსპექტორისათვის, მეტ შემთხვევაში სამუშაო ხელფასის მომატების თაობაზე. მუშების მოთხოვნილება ინსპექტორის საშუალებით დაუკმაყოფილებიათ ას შემთხვევაში 35-ჯერ.

საფაბრიკო კანონებისა და განკარგულებათა დარღვევა აღმოუჩენიათ 31,348-ჯერ, რაიც ცხადათ გვიმტკიცებს, რომ მწარმოებელნი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ საფაბრიკო კანონებს და მის აღსრულებას. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მთელი ამდენი დარღვევა კანონებისა დაუსჯელად დარჩენილა. შეუდგენიათ ინსპექტორებს მარტო 1667 ოქმი, მხოლოდ სასამართლოსთვის გადაუციათ 920 საქმე. ესეც ცხადია, რომ სასამართლო ან სულ ამართლებდა მწარმოებელთ, ან უბრალო სასჯელს დააჯერებდა.

◆ საერო განათლების სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში შეუტანია პროექტი სამინისტროში ახალი შტატების მომატების შესახებ. ახლანდელ დეპარტამენტის მაგივრად სამი დეპარტამენტი უნდა დაარსდეს: 1) სამეცნიერო და სამოსწავლო დაწესებულებათა, 2) საზოგადო საქმეთა და 3) განყოფილება სამრეწველო სასწავლებელთა. საზოგადო საქმეთა დეპარტამენტს აზრადა აქვთ დააარსონ, როგორც ნაწილი ამ დეპარტამენტისა, სტატისტიკური და საექიმო-სანიტარული ნაწილი და საამშენებლო კომიტეტი.

◆ 25 და 26 სექტემბერს ჰინსკში ვილენის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ებრაელთა უნტერმანისა, გუხმანისა და სხვებისა, რიცხვით 11 კაცისა, რომელნიც პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი დებულების მე-315 მუხლის ძალით. ბრალდებულთ გადაუწყვიტეს: ორს—1½ წელიწადი პატიმართა განყოფილება, ერთს—ერთი წელიწადი და სამს—რვა-რვა თვე ციხე; ხუთი გაამართლეს. ბრალდებულთ იცავდნენ პეტერბურგიდან მოსული ადვოკატები პერევერზევი და განზბურგი, მოსკოვიდან—სტალი, კიევიდან—სლუცკი, შეინმანი და შიშკო, მინსკიდან—ენტისი.

◆ როგორც „სევ.-ზაპადნ. კრაი“ იუწყება, მინსკის გუბერნიიდან დიდ-ძალი ებრაელი მიდის საზღვარ-გარედ. ებრაელების ასეთი მოძრაობა თვალსაჩინოა რკინის გზის სადგურებზე. მიდიან მეტ ნაწილად მუშები და ხელოსნები.

◆ ოდესის ცხენის რკინის გზების დირექციამ საცდელად შემოიღო ათი საათის სამუშაო დღე კონდუქტორებისა და კუჩრებისათვის ჯერ, მხოლოდ რიშელიეს ქუჩაზე. კონდუქტორებს საათში 12 კაპეიკი დაუნიშნეს, კუჩრებს კი 10 კაპეიკი. დირექცია ჰფიქრობს, ეს ახალი სისტემა ქირის მიცემისა ყველა გზებზე შემოიღოს.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან აზრადა აქვთ გახსნან სპეციალური განყოფილება, სადაც თავს მოუყრიან მასალას, რომელიც-კი რუსეთის სამთა-მადნო სიმდიდრეს შეეხება.

◆ ექიმ ბენიაშევის წერილი დამზღვევ საზოგადოების „როსსია“-ს მიმართ ცხადად გვიმტკიცებს, თუ როგორ ეპყრობიან რუსეთის დამზღვევი აზოგადოებანი დაზღვეულ მუშებს. „როსსია“-ს აგენტი უნდა გასწორებოდა ამ წლის აგვისტოში ეკატერინოსლავის სამთო-სამრეწველო საზოგადოების მადნებში მომუშავეს, ახალგაზრდა ხრამშინს, რომელიც დაშავდა და შრომა აღარ შეუძლია. ხრამშინს ვკუთვნოდა 1500 მანეთი, მიიღო კი 900 მანეთი. საწყალ მუშის მუ-

---

*) შემომწირველთა სია მიიღო რედაქციამ.

ფელეტონი

დამჟავებაც არ ვარგა!..

ქართულმა დრამატიულმა დასმა სეზონი „სამშობლო“-თი დაიწყო. კეთილი და პატიოსანი! ია და ვარდიმც ჰფენიათ მუდამ, რომ ქართველობას სამშობლო გაახსენეს, ვინაობა მოაგონეს. მაგრამ... ის-კი ვღარაფერი საქმეა, რომ გაგვიმეორეს.

დიდი დანაშაული, ეჭვი არ არის, არა ჩაუდენიათ-რა ამითი, რადგან ხალხს მოესურვებია, მაგრამ ამ გარემოებამ, გამოვტყდები, როგორღაც არა-სანუგეშო ფიქრები ამიშალა: იქნება ისევ ძველებურად შეჩვეულსა და არტისტებისაგან გაზეპირებულ პიესებს მიჰყონ ხელი,—რადგან მომზადებაც და თამაშობაც მათი ბევრად ადვილია,—და ახალი-კი, რის იმედიც დიდი გვაქვს წრეულს, არა გვაჩვენონ-რა, დაგვიძვირონ-მეთქი? ცოტა თითქოს ნიშნებიც არის ამისი: გარდაწყვეტილი აქვთ, მეტი ადგილი ისტორიულს პიესებს დაუთმონო.

თუ ასე მოხდება, დამეთანხმებით, მკითხველო, თეატრი სანუგეშოს მეტად მცირედს რასმე მოგვცემს, ახალს არას შეგვძენს და ხელოვნებასაც სულ უკან ჩამორჩება, რადგან არც ერთი ისტორიული პიესა არ ვიცი მე ქართულად, გარდა თარგმანებისა, რომ ნამდვილის დრამატიულის ხელოვნებით იყოს დაწერილი და არტისტს საზრდოს აძლევდეს ან შინაარსით, ან ტეხნიკით. ერთიც და მეორეც უმეტესს შემთხვევაში მხოლოდ მკრთალი აჩრდილია ხოლმე რომელისამე უცხო პიესისა. ასეთი იყო დღევანდლამდე ჩვეულება პიესების წერისა.

მეორე მხრივ, შემცდარია ქართული დრამატიულ საზოგადოების კომიტეტი, თუ ჰფიქრობს, რომ თეატრი უმთავრესად ხალხის გემოვნების მაჩანჩალა უნდა იყოს და არა აღმზრდელი და განმავითარებელი სასცენო გემოვნებისა და შეხედულებისა. მაშინ ხომ თეატრი არასოდეს ნათელს არ მიაშუქებდა მაყურებელსა და ახალს გზას არ გაუკვლევდა, გრძნობას და გონებას დაუხავსებდა...

თეატრი, როგორც მოგეხსენებათ, თანამედროვე ცხოვრების, მის მისწრაფებათა და იდეალების ნათლად დამასურათებელი უნდა იყოს, პიესის გმირების მოქმედება და მაგალითი ჰხელმძღვანელობდეს, გზას უკვალავდეს, ჰზრდიდეს და ჰსწვრთნიდეს იმ უმრავლესობას, რომელსაც თავისით ვერც გზა გაუკვლევია და ვერც რამ გადაუწყვეტია და რომელსაც სხვისა წაბაძვა, სხვისაგან სწავლა სჭირია. ამიტომაც თეატრი უმთავრესად უმაღლესი სკოლაა მოზრდილთა და ცხოვრებაში გამოსულთათვის, სულისა და გულის განმწმედელ-განმსპეტაკებელი, გონების გამხსნელი და სიმართლის შემყვარებელი,—აი, დანიშნულება თეატრისა და სასცენო ხელოვნებისა. ამიტომაც ყველა სხვა ნაწარმოებთა შორის სასცენო დრამატიული ნაწარმოები გაცილებით მაღლაცა სდგას და მეტად გავლენიანიც არის.

საკმარისია, მაგალითად, რომელიმე კარგი პიესა მოისმინოს ერთხელ ადამინმა და იგი უნებურად თავით ბოლომდე ღრმადა აქვს გულში შემდეგ ჩამარხული, ნანახი სცენის სურათები, სადაც რომელიმე სულიერი მოძრაობა იყო ძლიერად ნაჩვენები, მუდამ თვალ-წინ უდგა, აღარ სცილდება დამასაც, უბრალო მომაკვდავს, თითქოს საგმიროდ იწვევს. უფრო მეტს ვიტყვი, კეთილი გავლენა ასეთის პიესისა თითქმის საშვილიშვილოდ სამკვიდროდ ხდება.

ისტორიულს გმირებსა და ფაქტებს-კი იმდენად მიჰმართავს ხოლმე, რამდენადაც წარსული ჩვენისა თუ სხვა ერის ცხოვრებისა თანამედროვე გარემოებაში ჩაგვახედებს და ზოგიერთა, მუდამ ახალსა და უკვდავს გრძნობებსა და სულიერ თვისებას გაგვიმტკიცებს. ასეთი პიესაა, მაგალითად, თავისის შინაარსით „სამშობლო“. ერთგულება და თავგანწირვა სამშობლოსათვის, რომელიც უმთავრესად ჩაქსოვილი აქვს პიესას სქელის ფერადებით, დღესაც უეჭველად წასაბაძნი არიან. მაგრამ მარტო ოდენ ამ გრძნობებით ხალხის კვება შეუძლებელია და ამიტომაც ჩვენი ისტორიული პიესები სარეპერტუაროდ ბევრ წილად გამოუსადეგარნი არიან, რადგან მხოლოდ ერთი მეორის გამეორებას წარმოადგენენ, სხვას არაფერს.

სულ სხვაა თანამედროვე ცხოვრებიდან, ჩვენის დროის საყურადღებო მოვლენათა გამო დაწერილი პიესები, რომლებშიაც მართლა ჩვენი მზგავსი, ჩვენისავე მიდრეკილებათა და მოთხოვნილებათა ხალხია გამოყვანილი სამოქმედოდ და სცდილობს, ასე თუ ისე, ცხოვრებას პასუხი გასცეს, თავისი იდეალები განახორციელოს იმ რიგადა და იმ საშუალებით რა საშუალებანიც დღევანდელს ცხოვრებასა და მეცნიერებას მოუცია ჩვენთვის.

უმთავრესი გმირები ასეთის პიესებისა ან მოწინავე აზრებს ჰქადაგებენ და იმარჯვებენ, ან ბოროტ, მოწინააღმდეგე ძალებთან ბრძოლაში დამარცხებულნი გამოდიან... მაგრამ ორსავე შემთხვევაში მათი ბრწყინვალე იდეალი და მოქმედება, თუნდაც დამარცხებულიც-კი, წასაბაძნი ხდებიან და რწმენა და მისწრაფება პიესის გმირისა საყოველთაო მისწრაფებათა და რწმენათა, ხალხი ახლდება.

ადამიანის სულიერი თვისებანი, მაგალითად, სიყვარული, მეგობრობა, ქველობა, სიკეთე, ნდობა, ერთგულობა, თავგანწირვა, მხნეობა, სიბრალული, თანაგრძნობა, სიუხვე, სამართლიანობა და მისწრაფება თავისუფლებისა და ჭეშმარიტებისადმი, პიესის გმირთა მოქმედებით განსპეტაკებულნი, ძლიერ სულიერ ძალათა ხდებიან და ანდამატივით იზიდავენ ხალხს, თავისს კეთილშობილურს გავლენას უმორჩილებენ. ასეთია მადლიანი გავლენა ნამდვილის თანამედროვე ხელოვნურ ნაწარმოებისა.

სამშობლოსადმი სიყვარულსა და თავგანწირვასაც, ეჭვი არ არის, საპატიო ადგილი უჭირავს, მაგრამ არა ნაკლებ საყურადღებოა ჩვენთვის სხვა-და-სხვა გვარი საზოგადოებრივი და ოჯახური კითხვა, რომლებმაც ჩვენი ზნეობრივი პირადობა უნდა გამოარკვიონ; არა ნაკლებ საყურადღებოა სხვა-და-სხვა წოდებათა და კლასთა ურთიერთთ შორის დამოკიდებულება, მწერლობისა, მრეწველობისა, ვაჭრობისა, მეურნეობისა და სხვა მოქალაქობრივ ურთიერთობათა დამოკიდებულება, საერთაშორისო კითხვა, პოლიტიკა და სხ. მრავალნი, რომელთაც ჩვენი საზოგადოობრივობა უნდა განამტკიცონ. ყოველივე ეს დრამატიულ ხელოვნების მასალად უნდა შეიქმნეს და ცხოვრება მთლიანად გაგვაცნოს. ეს არის სწორედ მიზეზი, რომ მოწინავე ევროპიელი დრამატურგები სცდილობენ თანამედროვე ცხოვრების საჭირ-ბოროტო კითხვები ავად თუ კარგად როგორმე გადასწყვიტონ და თავისს ნათლით მოსილ გმირების სახით კარგი შეგვაყვარონ და შეგვათვისონ და ავი შეგვაძულონ.

საგანი დრამატიულ ნაწარმოებისა ამისათვის მუდამ ზე-აღმაფრენი, ნათლით მოსილი და თანამედროვე უნდა იყოს, თუ გვსურს ხელოვნურ სიამოვნებასთან ერთად გონებამაც შეიძინოს რამე და უკეთესისადმი მისწრაფების საქმეში საჭირო იარაღი და საშუალება მოიპოვოს, ახალი გზა გაიკვლიოს.

ყოველსავე ამას უმეტესობისათვის, ხალხისათვის ვამბობთ, თორემ მცირედმა გუნდმა განათლებულებისამ, ასე თუ ისე, იქმნება თავისითაც მოახერხოს ყველა ამ საგნებზე პასუხის მიცემა.

შემცდარია ამიტომ, თუ ჰფიქრობს ვინმე, რომ ხალხს სულ სხვა სამზარეულოში შეზავებული და სხვა ჰრილობის პიესები უნდა მივაწოდოთ და რაღაც არა-ხალხს (?!),—განათლებულებს—სხვებიო; რომ ვითომ უმრავლესობა ზოგიერთა ძალიან კარგს პიესასაც-კი აზრს ვერ გაუგებს და უნაყოფოდ, უსარგებლოდ ჩაუვლის; რომ პიესა შეუფერებელი

დარასა და ცრემლებს აგენტმა ყურადღება არ მიაქცია, სალაპარაკოდაც კი არ მიიღო. ხრამშინი იძულებული გახდა წასულიყო სამშობლოში თავის ცოლ-შვილთან. ექიმი ბენიაშევი გაზეთის საშუალებით წინადადებას აძლევს „როსსია“-ს მისცეს დაშავებულ მუშას დარჩენილი 600 მანეთი.

პრესსა

მკითხველებს, რა თქმა უნდა, ეხსომებათ ებრაელების აწიოკება გომელში. ამის შესახებ „ვოსხოდი“, სხვათა შორის, სწერს:

> აწიოკების დღეს პოლიციამ დააპატიმრა 60 ებრაელი. რაც შეეხება ამწიოკებელთ, რაღაც გაუგებარ მიზეზისა გამო, ამათგანი არც ერთი არ შეუპყრიათ. შემდეგში დააპატიმრეს რამდენიმე ქრისტიანი: ეჭვი შეიტანეს, რომ ამათ უნდა მოეკლათ კვეშა და ტიატიცკი. აწიოკებაში უბრალო ხალხს ინტელიგენტნიც არ ჩამორჩნენ. ქუჩაში იყო და მოქმედებდა სხვა და სხვა პროფესიის ხალხი. იქ იყო გიმნაზიის მასწავლებელიც. კეთილ გრძნობების გავრცელებისა და კარგ ურთიერთობის დამყარების ნაცვლად, ახალგაზრდობის ამზრდელი უყვიროდა ბრბოს: წადით, აჰკუწეთ ურიებიო. იქვე იყო სტუდენტი, რომელიც ხელით ანიშნებდა ებრაელთა სახლებს და ეუბნებოდა გამხეცებულ ბრბოს: აბა, მეგობრებო, ხუთ-ხუთი მიდით და აიკელითო. ამ ინტელიგენტებს არც მღვდელი ჩამორჩა. დაჭრილი, გასისხლიანებული ებრაელი ბრბოს გაურბოდა. ებრაელი მღვდლის სახლისაკენ გაეშურა, სცდილობდა იქ თავის შეფარებას. მღვდელი ეზოს კარებში იდგა. ებრაელი შეევედრა, შემიშვი სახლშიო, მაგრამ სულიერმა მამამ მუშტის კვრით უკან გაისტუმრა და ხელახლა ბრბოს ჩაუგდო ხელში.

თეატრი

ავლაბრის ახალი თეატრი. წელს ბედმა გაგვიღიმა ავლაბრელებს: კოხტა, ლამაზი თეატრი აგვიშენდა და სცენაზე უხეირო მოყვარულების მაგიერ საუკეთესო ჩვენ არტისტებს ვხედავთ.

წინადაც გვქონდა თეატრი, მურაშკოს აშენებული, მაგრამ ერთობ მოუხერხებელ და მოშორებულ ადგილას იყო და თან ისეთ წარმოდგენებს მართავდნენ, რომ სულ უბრალო ელემენტარულ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა.

ახალი თეატრი სულ სხვა პირობებშია: აგებულია შუაგულ ავლაბარში—კახეთის მოედანთან, და ისე კარგად არის გამართული, რომ უკეთესს ავლაბრელები ვერც კი მოვითხოვთ: მშვენიერი ანტრე, სრული ფოიე, იქვე ლამაზი და საუცხოვოდ განათებული გამოქვაბულია, სადაც ორკესტრი უკრავს; განიერ კიბეს მიჰყავხართ ზემო სართულში; აქ ვრცელი სათეატრო ზალაა, სადაც ხუთასზე მეტი მაყურებელი თავისუფლად მოთავსდება; სცენა პატარაა, მაგრამ საკმაო, აგრეთვე კულისებიც; ელექტრონის განათება უხვი და ლამაზად გამართული. ერთის სიტყვით, როგორც სანახაობით, ისე გამართულობითაც ახალი თეატრი ბევრის მომთხოვსაც დააკმაყოფილებს.

ქართულ წარმოდგენებს მართავს ჩვენი დრამატიული კომიტეტი; ჩვენი საუკეთესო არტისტები გამოდიან ავლაბრის ახალ თეატრის სცენასე; მაშასადამე, ამ მხრივაც დაკმაყოფილებული ვართ ავლაბრელები. მაგრამ ახალ თეატრს ერთი ისეთი დიდი ნაკლი აქვს, რომ, შეიძლება, ყველა მისი ღირსება სულ ფუჭი შეიქნეს: ადგილების ფასი ყოვლად შეუფერებელია ავლაბრელების ჯიბესთან: ავლაბრის თეატრი არსებითად სახალხო თეატრია და სხვად ყოფნა მას არ შეუძლია, ამას, მგონი, დიდი დამტკიცება არ სჭირდება. თუ კომიტეტი იძულებული გახდა, რომ ქარვასლის თეატრის წარმოდგენები უფრო ხელმისაწდომი გაეხადნა და ხალხისათვის დაეახლოვებინა, ავლაბარში ხომ ასეთი გზა იმ თავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო ყველასათვის: ავლაბრის ხალხი ხელ-მოკლე ხალხია და თუ შეძლებულებიც გვირევია, ესენი მიჩვეული არ არიან ორი მანეთები „თვალის სასეიროდ გადაჰყარონ“.

ამიტომ აუცილებელი საჭიროებაა, რა მხრივაც არ უნდა შევხედოთ საქმეს, რომ ავლაბრის ახალ თეატრის ფასები განახევრდეს მაინც. როგორ ვიცით, ფასების დაკლების თუ მომატების უფლება ბატონ არაქსიანს ეკუთვნის. დარწმუნებული ვართ, რომ პატივცემული არტისტი შემდეგისთვის მაინც გაასწორებს თავის შეცდომას და ბილეთის ფასებს შესამჩნევად დაუკლებს. თუ ეს არ მოხდა, ავლაბრის ახალი თეატრის საქმე ვერ იხეირებს და ბურთი და მოედანი ისევ უხეირო თეატრსა და უხეირო წარმოდგენებს დარჩება. ასეთი მსვლელობა საქმისა არ უნდა იყოს სასურველი ბატონ არაქსიანისათვის.

ორიოდე სიტყვა პირველ წარმოდგენაზე ახალ თეატრში.

„რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ ჩვენმა არტისტებმა კარგად იციან და, რასაკვირველია, ყოველთვის კარგად წარმოადგენენ. მაგრამ სამშაბათის წარმოდგენა მაინც საგანგებო იყო. ჯერ ერთი ყველა ჩვენი არტისტები იღებდნენ მონაწილეობას, მეორე, საგანგებოდაც მომზადებულიყვნენ.

„დედის ერთა“-ში ყველა საუცხოვოდ თამაშობდა, განსაკუთრებით შათირიშვილი და ჩერქეზიშვილი.

ავლაბრელი.

—

როგორც ყვირილიდან გვატყობინებენ, თეატრის შენება ახლა ძლიერ სწრაფად მიდის: დაიწყეს დახურვა და მოსალოდნელია, რომ ორ თვეზე ყველაფრით მზათ იქნება.

—

იაფ-ფასიანი წარმოდგენები სახაზინო თეატრშიაც შემოიღეს. პირველად ასეთი წარმოდგენა გაიმართება ორშაბათს, 6 ოქტომბერს. წარმოადგენენ ოპერას „რუსალკა“-ს.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების საყურადღებოდ

ძვირად შეჰხვდებით ამ ჟამად იმისთანა მღვდელს, რომელიც თავის ბედს არ ემდუროდეს. უმეტესი ნაწილი იმას გაიძახის, რომ შვილებს გადავყევი თან, ჩემი საცხოვრებელი გადავალიე, ძლივს სემინარია დავასრულებინე და ახლა მღვდლადაც აღარ მიდის: გინდა თუ არა უნივერსიტეტში უნდა გაჰგზავნო და ხარჯიც აძლიო. ამას გარდა უფროსი შვილები ხშირად ძალას ატანენ მამებს, ჩვენი უმცროსი ძმები უსათუოდ საერო სასწავლებლებში მიეცითო. ზოგი იმას იმდურება, რომ სასწავლებლის გადასახადს და შვილების ხარჯს მართმევენ და შვილები კი სემინარიის გარედა მრჩება, რადგან 7-8 წლის განმავლობაში ჩვენმა სასულიერო სასწავლებელმა სემინარიის პირველი კლასისათვის ვერ მომიმზადა შვილიო. არც პირველი და არც მეორე საჩივარი საფუძველს მოკლებული არ არის. ქუთაისის სასულიერო სემინარიაში კურს-დამთავრებულთაგან ამ ორი-სამის წლის განმავლობაში ორი წილი თუ არა, ნახევარი მაინც საერო უმაღლეს სასწავლებლებში შევიდა სწავლის განსაგრძობად და ამ რიგად მოსწავლეებს 4-5 წელიწადი ტყუილ-უბრალოდ გაუცდათ, რადგან სასულიერო სასწავლებლის და სემინარიის გათავებას მოსწავლე 13 წელიწადს უნდება, გიმნაზიის გათავებისათვის კი მარტო 7—8 წელიწადია საჭირო. მეორეს მხრივ, იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენი მშობელი ატირებულა, როდესაც იმათი შვილები, ჯეროვანად მოუმზადებლობისა გამო, დარჩენილან სემინარიის გარედ, უნდა გავიხსენოთ როგორც საერო, ისე სასულიერო ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული წერილები ამ საქმის შესახებ. ზოგიერთები იმის სამდურავსაც აცხადებენ, რომ ჩემს საკუთარ სასწავლებელში შვილი აღარ დამიყენეს და სხვის სახვეწად გამიხადეს საქმე, როდესაც ჩვენის სასწავლებლის თვითეულ განყოფილებაში ოცობით არის თავისუფალი ადგილიო. სწორედ ყოველივე ზემოხსენებული უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ სამღვდელოებაში ხმა დადის: ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასები და პარალელური განყოფილებანი სრულიად გავაუქმოთო.

ვიცი, ბევრს გაუკვირდება ჩვენის სამღვდელოების ამისთანა უცნაური განზრახვა: გუშინ იმას გაიძახოდნენ, რომ ერთი სასწავლებელი აღარ გვყოფნის, მეორე უნდა დავიარსოთო და დღეს კი რაცა აქვთ, იმის ნახევარსაც აუქმებენო. მართლაც და ჩვენ თუ მოსამზადებელი კლასები და პარალელური განყოფილებანი სრულიად გავაუქმეთ და თუ იმათი შესანახი ფული ჯიბაში ჩავიდეთ და სხვას არაფერს მოვახმარეთ, სწორედ რომ დასაძრახისი და სასაყვედურონი ვიქნებით. მოსამზადებელი კლასები რომ გავაუქმოთ, ჩვენს შვილებს ხომ მოუმზადებელს არ მიიღებენ პირველ უფროს კლასში. მაშ აუცილებლად საჭიროა ბავშვების მომზადებაზე ამ თავითვე ვიფიქროთ რამე. ვისაც ერთხელ მაინც გადაუვლია თვალი იმ პროგრამისათვის, რომელიც უნდა გაიაროს ბავშვმა, რომ პირველ კლასში მიიღონ, ის დამერწმუნება, რომ ამ მხრივ ერთი და იგივე პროგრამა არსებობს სასულიერო, საქალაქო, გიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლებისათვის. იმ ფულით, რომელიც ახლა მოსამზადებელ და პარალელურ განყოფილებათა შესანახად გვეხარჯება, შეგვიძლიან დავიარსოთ თვითეულ მაზრაში თვითო სამ-განყოფილებიანი მოსამზადებელი კლასი. თუ თვითეულ მაზრის სამღვდელოება ვერ შესძლებს ამას, მაშინ ორ-ორი მაზრა შეერთდეს. ამ მოსამზადებელ კლა-

---

იქმნება, თუ მაშინვე, დიპლომებიანებიდან მოკიდებული უბრალო მხერხავ-მეჩექმეებამდე, ყველამ ერთნაირად არ შეითვისა და გაიგო აზრი პიესისა... და სხვ. (?).

ბევრს, ძალიან ბევრს საბუთებს ჩამოგვითვლიან ბ-ნნი კატეგორისტები ამ საგნის შესახებ, თუ გაჰბედეთ და ის აზრი გამოსთქვით, რომ ხელოვნური ნაწარმოები,—თუნდაც იგი დრამატიულიც იყოს,—შეიძლება ყველამ ერთნაირად მოისმინოს, ნამდვილი სიამოვნებისა და სარგებლობის მეტს ასეთი პიესა სხვას არას მოუტანს მნახველს, არასოდეს არ ავნებსო.

მაგრამ, ბ-ნებო, გავიწყდებათ, რომ თეატრი სამეცნიერო აუდიტორია არ არის და აქ ყველას ერთნაირად შეუძლიან ცხოვრების გაცნობა, თანამედროვე სოციალურ ვითარების გარკვევა და ზოგჯერ მაღალ კითხვების გარდაწყვეტაც-კი, თუ რომ პიესისათვის შეუფერებლად არ არიან ეს კითხვები გადასაწყვეტად გამოფენილნი. რომ კარგს პიესაში, როგორც ცხოვრების სურათში, თავისს ადგილას მეჩექმე და მზარეულიც იქმნებიან ჩარეულნი და, მაშასადამე, მათაც შეეძლებათ მცირეოდენად მაინც არის ცნობა იმისი, რაც ცოტად თუ ბევრად მათ-და მახლობლადა ხდება. რომ არ არსებობს მეცნიერება გარეშე მეცნიერებისა და თუ ოდესმე სამეცნიერო ხასიათისა და მიდრეკილების კითხვაც არის პიესაში აღძრული, იგი უთუოდ ადვილად გასაგებადა და შესათვისებლად განმარტებულია ხელოვნურადა.

ამიტომაც შეგვიძლიან, მაშასადამე, დავასკვნათ, რომ: ხალხისათვისა და რაღაც არახალხისათვის ცალკ-ცალკე პიესები არ არსებობს; რომ უმთავრესს ძალას ყველა დროისა და ერის თეატრისას თანამედროვე ცხოვრებიდან დაწერილი პიესები შეადგენს; რომ ყველაზე კარგი პიესა ის არის, რომელიც მაყურებელს მეტს მასალას აძლევს მსჯელობისა და წაბაძვისათვის; რომ ისტორიული პიესა მხოლოდ დიდებულს რამ ხანასა და დიადს, უკვდავს გრძნობებს უნდა გვაცნობდეს, თორემ სხვა მხრივ ვერასფრით მიიზიდავს მაყურებლის ყურადღებასა, რადგან დღე-დღეობით და წლითი-წლობით ხალხის ზნე-ჩვეულება და შეხედულებანი თან-და-თან იცვლებიან და, მაშასადამე, რაც ერთი საუკუნის წინად მომხდარა და ყოფილა მოსაწონი, ის შეიძლება ახლა დასაძრახიც იყოს. ამიტომაც მათ შედარებით ნაკლები ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი.

გარდა ამისა, შეიძლება პიესა ზოგჯერ მართლაც ყველასათვის ადვილად გასაგები და საცნობი იყოს, ყველას უნებურად აცინებდეს, მაგრამ იმავე დროს ცინიზმით სავსე იყოს და უმეტესობაზე მხოლოდ მავნედ ჰმოქმედებდეს. ასეთ პიესებად უნდა ჩავთვალოთ, მაგალითად, ჩვენის რეპერტუარიდან ჯერედ არ გამორიცხული რამდენიმე პიესა. მართალია თავისს დროზე მათმა ავტორებმა დიდად ნიჭიერად აღნიშნეს ჩვენის საზოგადოების ერთ ნაწილის სუსტი და საძრახი მიდრეკილებანი, მაგრამ თან მეტად საგრძნობად ქუჩის და უბნის ნარეცხ-ნაქაფი ჭუჭყი შეაყოლეს და ამით შებღალეს ფაქიზი გრძნობები ბევრის მაყურებლისა; მეტადრე ახლა, როცა პიესაში გამოყვანილი ტიპები იშვიათი სანახავია და მხოლოდ ავლაბრისა და მის მინაგვარ ბნელა კუთხეებში თუ-და სადმე მოიძებნებიან.

ამ წინაზედ ჩემს კარგს მეგობრებში (უმაღლესის განათლებისანი არიან) გამოვსთქვი ესევე აზრი და როგორღაც არ დამეთანხმნენ, რომ ეს პიესები რეპერტუარიდან გამოსარიცხი პიესებია. და იცით, რითი ასაბუთებდნენ ამას? იმითი, რომ პიესები მაყურებელს ნამდვილის გატაცებით აცინებენ; მაშასადამე, ასვენებენ, ასიამოვნებენო. ვეთანხმები; მაგრამ ნუ დაივიწყებთ, ბ-ნებო, რომ გვაცინებს უმეტესად ჩვენ, რომლებიც კაბინეტში ვართ კარ-ჩაკეტილად მუშაობას მიჩვეულნი და საპირღიმო ფიქრი და სანახაობა ძვირი სტუმარი გაგვხდომია, თორემ ვინც ქუჩისა და უბნის დედაკაცების ოროლ-ტრიალსა და ვაი-უშველებელს ყურს უგდებს ხოლმე, ის, მერწმუნეთ, მხოლოდ ზიზღით უყურებს ამასა. იქმნება, მართლა, ზოგჯერ ენიშნოთ კიდეც ცხოვრების სურათები, მაგრამ ნანახი თავისის ცინიზმით მხოლოდ კიდევ ერთხელ მეტად უმღვრევს გრძნობებსა და აძულებს თვით სცენას. ასეთია ნამდვილი გავლენა მებრის პიესებისა.

მეორე მხრივ, შეიძლება ძალიან ბევრიც გვაცინოს პიესამ, მაგრამ არავითარი საკეთილო ნიშანი-კი არ დაგვატყოს, არც ზნეობრივა და არც გონებრივ. მაშინ ეს მხოლოდ ვოდევილი უნდა იყოს ფარსის ხასიათისა და ასეთი ხასიათის პიესები-კი ვერაფერი საზრდოა ხალხისათვის, იმ ხალხისა, რომელიც გონიერ შრომისა და მოქმედების გზას ადგია და არა გახრწნისასა...

სახეში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე მოთამაშე არტისტების ნიჭიც. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს ცნობილს კომედიებში ყოვლად ნიჭიერი არტისტი ვასო აბაშიძე-კი არა, სხვა ვინმე თამაშობდეს კომიკურს როლებს, რა იქნება?.. (?!) არ ვიცი?! ვგონებ, რომ კომიზმის ნაჩრდილიც-კი აღარ დარჩებოდა მაშინ.

მაშასადამე, სიცილს უმეტესს შემთხვევაში ზეციურის მადლით მოსილი ნიჭი გვგვრის და არა ისა, რომ თავისს თავად რომელიმე „კნიაზს ვახლავარ“-ი მეტად სასაცილოა. თორემ ამას, მერწმუნებით, დამტკიცება არ უნდა. მაშასადამე, სულ ზომიერსა და გონივრულს კომედიაშიაც, ასეთი არტისტი უმაღლესს სიამოვნებას გვაგემებს და დაგვასვენებს, გვასიამოვნებს. თან იოტის ტოლადაც-კი ჩვენს გრძნობებს არ შეჰბღალავს... რაც წმინდა პოეზიისა და ხელოვნებისათვის აუცილებელია: ცინიზმს, ჭუჭყს მათთან ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

კიდევ შეიძლებოდა მინაგვარ პიესების რეპერტუარში შეტანა, მაგრამ ერთი პირობით-კი, რომ ზოგიერთა უშვერი და ცინიკური ვითომ-და ტიპის უკეთ დამახასიათებელი ადგილები, თამაშობის დროს უთუოდ გამოტოვებულნი იქმნენ და არტისტებმაც ზომიერებას არ გადააჭარბონ ხოლმე.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, ვითომ ამითი რაღაცა დრამატიულ არისტოკრატიზმის გამეფება გვწადდეს სცენაზე; თვით უბრალო და უბირ ადამიანსაც გრძნობები ისევე ფაქიზი და წმინდა უნდა ჰქონდეს, როგორც „წმინდა სისხლის“ არისტოკრატსა: ხელოვნება ამასა სცდილობს. მაშასადამე, ნარჩევი საშუალება არც ისე უცნაურად უნდა ეჩვენოს ვისმე.

მაშასადამე, თანამედროვე პიესებშიაც, ეჭვი არ არის, ბევრი უვარგისი გამოდგება და რეპერტუარს გაწმენდა დასჭირდება.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ დრო და მოცალეობა არა გვაქვს, რომ ჩვენის პიესების დაწვრილებით გარჩევას შევუდგეთ და მკითხველს თვალსაჩინოდ დავანახვოთ, თუ რომელი და რომელი ადგილია რომელი პიესისა ამ ხასიათისა. მაგრამ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის წევრებსა და რეჟისორს-კი სრული ღონისძიება ამის-და გასარკვევად ხელთა აქვთ.

ვაიმედოთ მაშ თავი, რომ მცირედს შენიშვნას, საქმისადმი სიყვარულით გამოწვეულს, სხვა რამ თვალით არ შეჰხედავენ და, რაც სამართლიანად ეჩვენებათ, უთუოდ ეცდებიან შესრულებასა და უმთავრესად ხელოვნებისა და ჩვენის საზოგადოების გონივრულ მოთხოვნილებათ მიაქცევენ ყურადღებასა და არა მხოლოდ ჯიბესა და კასსას, რომლებსაც, სამწუხაროდ, არავითარი არსებითი, შინაგანი ერთობა არა აქვთ არც დრამატიულ ხელოვნებასთანა და არც ხალხის იდეალურ მისწრაფებასთან.

Alfa.

სებში სწავლა უნდა სწარმოებდეს ზემოხსენებულ პროგრამით, ასე რომ აქ მომზადებული ბავშვი დაუბრკოლებლად უნდა იჭერდეს პირველ კლასში შესასვლელ ეგზამენს. ამ მოსამზადებელ კლასებში მოვამზადოთ ჩვენი ბავშვები და მერე ვისაც რომელ სასწავლებელში უნდა, იქ შეიყვანოს თავისი შვილი. ჩემის აზრით, წაგებულნი არ ვიქნებით ამ საქმით. ბავშვის გიმნაზიაში შეყვანა რომ უნდოდეს მღვდელს, კერძოდ მომზადება 30 თუმანზე მეტი უჯდება. რაც სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასების შესანახად ფული იხარჯება, ის მეტია კიდევ. მაშინ კი ერთი და იგივე ხარჯით მომზადდება ბავშვი ყველა ზემოხსენებულ სასწავლებლების პირველ კლასისათვის.

იმედია, ამ საქმეს ქუთაისის ეპარქიის სამღვდელოება მეტ ყურადღებას მიაქცევს.

მღ. ვლადიმერ მაჭარაშვილი

სასამართლო

დღეს, 3 ოქტომბერს, ქუთაისის სამხედრო სასამართლო შეუდგება ფოთის ხაზინის თავ-დასხმის საქმის განხილვას. სასამართლოს თავმჯდომარედ არის გენერალ-მაიორი ლევაშოვი, წევრებად არიან: პოდპოლკოვნიკები სობოლევსკი, ვასილიევი და ჩიჟი, კაპიტნები ვესელოვსკი და ლომსანოვი. პასუხის გებაში მიცემულნი არიან ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი ანტონ ოტიას ჩხარტიშვილი, დომენტი ოტიას ძე კვაჭაძე, კოწია სიმონის ძე ჭელიძე, აზნაურობის მაძიებელი ხარლამპი კავჟარაძე, აზ. ისიდორე ზურაბის ძე მახარაძე, საპატიო მოქალაქე გრიგოლ ნიკოლოზის ძე ჩხარტიშვილი, ფოთის მოქალაქე ნიკოლოზ გუჯაბიძე და თავ. ალექსანდრე გიორგის ძე მაჭუტაძე. პირველ ექვს ჰბრალდება ხაზინის გაძარცვა, თავ. მაჭუტაძეს—თავის სახლში ყაჩაღების შეფარება და დამალვა, ხოლო ნიკოლოზ გუჯაბიძეს—ყაჩაღების დახმარება. ის. მახარაძეს, გრიგოლ ჩხარტიშვილს, ნიკოლოზ გუჯაბიძეს და კოწია ჭელიძეს დაიცავს ნაფიცი ვექილი მ. ქიქოძე, თავ. ალ. მაჭუტაძეს—საყვარელიძე, ანტონ ჩხარტიშვილს—გელაზაროვი, კავჟარაძეს და კვაჭაძეს—ნაფიცი-ვექილი ბაღდასაროვი. ამ საქმის გამო ბრალდებულთა მხრივ მოწმედ დაბარებული 100 კაცამდე, ხოლო ბრალმდებლის მხრივ 50 კაცამდე.

გუშინ, 2 ოქტომბერს, ტფილისიდან დუშეთს გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია ბ-ნ კოვაჩის თავმჯდომარეობით. სესია დუშეთში დაჰყოფს 6 დღეს და განიხილავს 12 საქმეს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 სექტემბერი

ასხაბადი. მგზავრთა მიმოსვლა ტაშკენტიდან თურქესტანამდე 15 ოქტომბერს დაიწყება.

კალიში. დეისმანოვის ორთქლის წისქვილი და ტყავის ქარხანა დაიწვა. ზარალი 100 ათას მანეთამდეა.

კურსკი. სტარო ოსკოლის საერობო კრებამ დაადგინა, 20 ახალს სკოლა გავხსნათო.

უსმანი. საერობო კრებამ დაადგინა, ცენზი 125 დესეტინის მაგიერ, 100 დესეტინამდე შემცირდესო.

ლონდონი. გარეშე საქმეთა სამინისტროს არ მოჰსვლია ცნობა იმის თაობაზე, ვითომ იაპონელებს მაზამპო დაეჭიროთ და იაპონია ომის გამოცხადებას უპირებდეს რუსეთს.

სინგაპური. ჩინეთსა, ავსტრალიასა და ოსტ-ინდოეთის ინგლისელ ესკადრების ადმირალები სათათბიროდ შეიკრიბნენ. ეს თათბირი იმ თათბირის პასუხია, რომელიც რუსეთის სამხედრო და ფლოტის უფროსებმა პორტ-არტურში მოახდინეს.

ლონდონი. სხვა-და-სხვა სახელმწიფოთ, რომელნიც ჩინეთთან პირობით არიან შეკრულნი, უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ რუსეთისა და ჩინეთის შეთანხმების დროს, იმათი უფლება ხელშეუხებელი დარჩეს. თუ ეს პირობა ასრულდება, მაშინ აღარც იაპონია, აღარც სხვა სახელმწიფოები წინააღმდეგობას აღარ გაუწევენ რუსეთს, რომ მანჯურიაში განსაკუთრებული უფლება მოიპოვოს, და აღარც მშვიდობიანობას დაარღვევენ შორეულ აღმოსავლეთში.

1 ოქტომბერი

ზვენიგოროდი. საერობო კრებამ დაადგინა, საარჩევნო ცენზის ნორმად ასი დესეტინა დაწესდესო, ვიშუამდგომლოთ, რომ ქალებსაც საარჩევნო უფლება მიეცესო.

ხარკოვი. საერობო-სამაზრო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ საარჩევნო ქონების ცენზი ნახევრად შემცირდესო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ქალაქის პირდაპირ გემი „სტეფანე“ დაიწვა.

კოვროვი. საერობო კრებამ დაადგინა, საარჩევნო ცენზი 100 დესეტინამდე შემცირდესო. შუამდგომლობენ, რომ ქალებს საარჩევნო უფლება მიეცესთ და სოფლის საზოგადოებათ თითო საზოგადოებაზე თითო ხმოსანი აირჩიონ.

ლონდონი. იაპონიის ელჩმა გაიაშიმ პრესის წარმომადგენელს შეატყობინა, იაპონიიდან დამამშვიდებელი ამბავი მივიღეთ, ომის შიში აღარაათ. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ უკანასკნელ სამის კვირის განმავლობაში მარტო ეს ცნობა გამომიგზავნა, ისიც, ალბად, მარტო იმიტომ გამომიგზავნა, რომ ამ ჟამად იაპონიაშიაც საშიში ხმები დადიოდა. გაიაშიმ „დეილი ტელეგრაფ“-ის წარმომადგენელს საუბრის დროს გამოუცხადა, ეხლა იმედი მაქვს, ომი აღარ მოხდებაო.

სოფია. მთავარს მრავალი საჩივარი მოსდის დეპეშით ტირნოვოსა და სხვა ქალაქების მცხოვრებთაგან. მცხოვრებლები პროტესტს აცხადებენ, პოლიცია და სტამბულოვის მიმდევრები თავნებად იქცევიან და ხალხს აშინებენ იმ აზრით, რომ არჩევანში მეტი ხმა მიიღონო. ოსმალეთის მოხელეებმა ადრიანოპოლის სანჯაკში მცხოვრებ ბოლგარებს ძალა დაატანეს და ბრწყინვალე პორტის სახელობაზე დაწერილ ადრესებზე ხელი მოაწერინეს. ადრესებში ნათქვამია, ოსმალებს არაფერი მხეცობა არ ჩაუდენიათო.

შანჰაი. ის ცნობა, ვითომ იაპონელებს მაზამპო დაეჭიროთ, არა მართლდება. ტოკიოში რუსეთთან მოლაპარაკებაა გამართული მანჯურიიდან ჯარის გაყვანის თაობაზე. ეს მოლაპარაკება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იაპონიის პოლიტიკური მდგომარეობა მშვიდობიანია.

კელნი. „კელნიშე ფოლკს-ცაიტუნგ“-ი იუწყება, პაპმა მერი-დელ-ვალი სტატს-სეკრეტრად დანიშნაო.

პარიზი. ბელგიის მეფე დღეს ლუბეს ეწვია; ლუბემაც დარბაზობა გადაუხადა.

პოლტავა. პოლტავის სამაზრო-საერობო კრებამ დაადგინა, მაზრაში ტელეფონი გაიმართოს და თავად-აზნაურთათვის საარჩევნო ცენზი 75 დესეტინამდე შემცირდესო.

კიევი. ბავშვთა თავ-შესაფარის ორი შენობა აკურთხეს. ეს თავ-შესაფრები დევტერევის ხარჯითაა დაარსებული; 170 ათასი მანეთი დაჯდა.

სოფია. ხმა დადის, ბოლგარია ოსმალეთისაგან დაკმაყოფილებას თხოულობს იმაზე, რომ ოსმალეთის ჯარი საზღვარზე კარამანიცაში ბოლგარიის სადარაჯო რაზმს დაეცაო; სინამ ოსმალეთი ამ საქმეში არ დამაკმაყოფილებს, ჯარის დათხოვნის თაობაზე მოლაპარაკებას არც-კი დავიწყებო.

ბელგრადი. რადგან საზღვარ-გარეთელი კრედიტორები მეფე ალექსანდრეს მემკვიდრეობით ქონებას დღემდე დავას უცხადებენ, ამიტომ პირველ ინსტანციის სასამართლომ ამნაირ დავის დაწყების ვადა 27 ოქტომბრამდე გადასდო.

ბაქო. „ზაკასპიისკოე ობოზრენიე“-ს მეშხედიდან დეპეშით ატყობინებენ, ქანდაჰარსა და ქაბულში ხოლერა, რომელმაც ბევრი ავღანელი იმსხვერპლა, ამ ჟამად იმდენად განელდა, რომ ავღანისტანის ემირი ხაბიბულლა საზაფხულო რეზიდენციიდან ქაბულში გადასახლდაო. ინდოეთის მთავრობამ წინადადება მისცა ემირს, ქაბულს ინგლისელი ექიმები დეზინფექციის უზამენო.—ხორასანში, ქალაქ ტურშიზში 14 სექტემბერს მიწის ძვრამ 800 სახლი დაანგრია და 400 დააზიანა. ჯერ-ჯერობით 99 მოკლულს ანგარიშობენ. მიწის ძვრამ მეორე დილამდე გასტანა. ტურშიზის მიდამოებში 8 სოფელი დაინგრა.

პორტ-არტური. „ნოვი კრაი“-ს მოწინავე წერილმა, 29 სექტემბერს დაბეჭდილმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იაპონიაზე; იაპონიის პრესამ მკაცრ კილოს თავი ანება და უფრო მშვიდობიან კილოზე დაიწყო წერა. თუმცა რუსეთის სატახტო ქალაქებისა და პროვინციალური პრესა სხვას იუწყებოდა, „ნოვი კრაი“-მ მაინც გამოაცხადა, რომ შორეულ-აღმოსავლეთის მთავარ-მართებელმა საცხოვრებლად პორტ-არტური აირჩიაო.

2 ოქტომბერი

პეტერბურგი. 1 ოქტომბერს იყორის სააღმირალო ქარხნებმა იდღესასწაულეს ასი წლის იუბილე დღიდან დაარსებისა.

პეტროზავოდსკი. ნოვეიცკის საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ საარჩევნო კრებებზე მონაწილეობის ნება მისცენ იმ გლეხთ, რომელთაც 1500 მანეთი შეძლება აქვთ.

გჟაცკი. საერობო კრებამ გადასწყვიტა, ვიშუამდგომლოთ, რომ საარჩევნო ცენზი შეამცირონ 125 დესიატინამდის, ნება მიეცეს გლეხებს, მიიღონ მონაწილეობა სარჩევნო კრებებზე და თითო საზოგადოებიდან აირჩიონ თითო ხმოსანიო.

სტარი ოსკოლი. საერობო კრებაში წინადადება შეიტანეს, ააშენონ კრამიტის საკეთებელი ქარხანა და მით ხელი შეუწყონ კრამიტიან სახურავის გავრცელებას.

რიაზანი. საერობო კრებამ გადასწყვიტა, გადასდონ ყოველ წლიურად ფული იმ ფონდისათვის, რომლითაც უნდა აშენდეს სოფლებში ბავშვების თავშესაფარი.

იარენსკი. საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, 1864 წლის საერობო დებულებით ხმოსნების არჩევის წესი დაგვიბრუნონო.

დარმშტადტი. რუსეთის საიმპერატორო გვარეულობა, დიდი ჰერცოგი და უმაღლესნი პირნი ვოლფსგარდენის ციხე-დარბაზში გადავიდნენ.

ბელგრადი. როგორც ხმა დადის, დასჯილ ოფიცრებს სასჯელს არ აპატიებენ.

სოფია. შინაგან რევოლიუციონურ ორგანიზაციის წარმომადგენლები უარ ჰყოფენ იმ ცნობას, ვითომ კომიტეტმა გადასტყვიტა მოქმედება შესწყვიტოს მაკედონიაში; პირიქით, კომიტეტი უკიდურესობამდე განაგრძობს ბრძოლას.

ლონდონი. დიპლომატიურ წრეების კარგად მცოდნენი ჰფიქრობენ, რომ საქმეთა მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში გამოკეთდა.

რომი. იტალიური გაზეთები სწუხან იმის გამო, რომ ხელმწიფე იმპერატორმა იტალიაში მოგზაურობა გადასდო. მთელი იტალიის პრესსა ერთხმად ჰგმობს ზოგიერთ პირთა უადგილო ლაპარაკს.

პიზა. გენერალ-ადიუტანტმა თავადმა დოლგორუკმა გადასცა მეფეს ხელმწიფე იმპერატორის საკუთარ ხელით დაწერილი წერილი, რომელშიაც მისი უდიდებულესობა მწუხარებას გამოსთქვამს რომში წასვლის გადადებისა გამო.

კონსტანტინეპოლი. სიცრუეა ის ცნობა, ვითომ რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებს მოეთხოვოთ მაკედონიაში ქრისტიანი გენერალ-გუბერნატორი დანიშნეთო.—სულთანის შვილი პრინცი მაჰმუდი 29 სექტემბერს ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა.

პარიზი. იტალიის მეფე და დედოფალი 1 ოქტომბერს მოვიდნენ რკინის გზით. ვაგონიდან გადმოსვლის შემდეგ მეფემ ლუბე გადაჰკოცნა. ძალიან გულითადად შეჰხვდნენ ერთმანეთს. დიდძალი ბრბო ესალმებოდა მეფესა და დედოფალს.—იტალიის მეფესა და დედოფალს რკინის გზის სადგურზე მიეგებნენ ლუბე თავისის მეუღლით და მინისტრები კომბი და დელკასე; აქედან გარეშე საქმეთა სამინისტროში წავიდნენ. 5 საათზე მეფე და დედოფალი სადარბაზოდ იყვნენ ლუბესთან ელისეს სასახლეში.—აქაური იაპონიის მისია შემდეგს დეპეშას გვატყობინებს: „მანჯურიისა და კორეის საქმეთა შესახები მოლაპარაკება ნორმალურად მიდის; არაფერი არაა იმის მომასწავებელი, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის განხეთქილება ჩამოვარდეს. საზღვარ-გარედ გავრცელებული საშიში ხმები საფუძველს მოკლებულია.“

ლონდონი. ლანსდოუნმა და კამბონმა ხელი მოაწერეს 5 წლის კონვენციას იმის შესახებ, რომ იურიდიულ ხასიათის დავა, რომელიც ინგლისსა და საფრანგეთს შუა აწ არსებულ ხელშეკრულობათა განმარტებას შეეხება, გადასაწყვეტად უნდა გადაეცემოდეს ჰააგის მუდმივს სამედიატორო სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ დავა დიპლომატიურის გზით ვერ გადასწყდება, და ეს ისე მოხერხდება, რომ დავა არ ეხებოდეს არც ცხოვრების ინტერესებსა, არც დამოუკიდებლობასა და არც პირობის დამდებ სახელმწიფოთა პატიოსნებას.

იალტა. გადასასახლებლად აბარგებულ თათართა მოძრაობა მატულობს.

სტარი ოსკოლი. სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა სრული ხარჯი მაზრაში სახალხო სკოლისა თვით იკისროს. დაადგინეს იშუამდგომლონ, რომ სკოლის მოსაწყობად მეტი ფული გადასდოს მთავრობამ.

პორტ-არტური. ტოკიოდან მოსული დეპეშა გვაუწყებს, ხმები, ვითომ იაპონია დიდად ემზადებოდეს ომისათვის, მართალი არ არის. გაზვიადებულია ხმები, ვითომ ხალხი აღელვებული იყოს. პროგრესისტების მანიფესტს აქ ყურადღებას არ აქცევენ.—პარადზე გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა განაცხადა, თუ გარემოება მოითხოვს, მე დარწმუნებული ვარ, რომ უმაღლესი წინამძღვარის ბრძანებით რუსეთის დიდებული ჯარის-კაცნი მზათ იქნებიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დაიცვან რუსეთის საქმე. „ურა“ და „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა“ იყო პასუხად. იაპონიის პრესა უკანასკნელ დღეებში უფრო მშვიდობის მოყვარული კილოთი ლაპარაკობს.

რისტოვაცი. აქ ხმა მოვიდა, ვითომ მეამბოხენი მახეში გაბმულიყვნენ და თითქოს სარაფოვი მოეკლათ.

კუზნეცკი. საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, განათლებისა და ეკონომიურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, იმ სახაზინო შემოსავლიდან, რომელსაც ხაზინა დებულობს კუზნეცკის მაზრაში სასმელების გაყიდვით, დაგვინიშნონ პროცენტები ერობის სასარგებლოდაო.

შადრინსკი. ახალ-წლიდან სახაზინო ღვინის დუქნებთან საცდელად დაიწყებენ საერთო განათლების სამინისტროს მიერ სახალხო საწავლებელთათვის ნება დართულ წიგნების გაყიდვას.

კირსუნი. საერობო კრებამ დაადგინა, გადაცვალებულის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწის როდიონოვის სამახსოვროთ სიმბირსკის გიმნაზიაში დაარსონ სტიპენდია და საერობო კრების დარბაზში დაჰკიდონ მიცვალებულის სურათი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის უმთავრესს სამკურნალოსთან (მუხრანის ქუჩა) ბებია-ქალთა ურთი-ერთ დამხმარებელმა საზოგადოებამ დააწესა ბებია-ქალთა მორიგეობა დღისით და ღამით. ბებია-ქალთ პირველი შემწეობა უნდა აღმოუჩინონ მშობიარეთ და ფეხ-მძიმეთ. ყოველ რჩევისა და შემწეობისათვის აიღებენ ერთ მანეთს. ეს ფული გადაეცემა ხსენებულ ბებია-ქალთა საზოგადოებას, რომელმაც ასეთივე მორიგეობა დააწესა საბებიო ინსტიტუტთან. (3—6.—1)

თმის საღებავი
ნიგვზის
ექსტრაქტიდან
№ 4711

ჭალარა თმასა, გინდა ქერას მოკლე ხანში სასურველად ჰღებავს, როგორც გსურთ: გინდ ღია ფერად, გინდ შავად. რამდენად უფრო ხშირად იხმართ ამ საღებავს, იმდენად უფრო გაშავდება თმა და ამიტომ გაჭაღარავებულს კაცს მალე შეუძლია წინანდელი შავი ფერი დაუბრუნოს თმას.

№ 4711 თმის საღებავი ნიგვზის ექსტრაქტიდან უპირატესობის ღირსია ყოველგვარ სხვა საღებავებთან, რადგან მავნე არაფერი ურევია შიგ.

ნება დართულია ლიფლიანდიის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებისაგან № 2753 1896 წლის 12 ოქტომბერს.

ფერდ. მიულგენსი
კელნი რეინზე და რიგა
მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მასალის დამმზადებელი. (მც. 9—1)

შორაპნის მაზრის შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 9 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც გაიცემა სამუშაოები ხიდის გასამართავად მდინარე ყვირილაზე ჭიქოურში. პირობების გაგება შეიძლება საბჭოს კანცელარიაში. (2—6.—1)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

Дозв. ценз. Тифлисъ 2 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).